ხელშეკრულება №22/09/3

ქ. თბილისი

22 სექტემბერი 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი **„საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ნინო ნახუცრიშვილის სახით (შემდგომ- „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ შპს **„აირზენა ჰოლიდეი"** წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **დიანა ლაზაშვილის** სახით (შემდგომ-„მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას გადასცეს „შემსყიდველს“ 1 (ერთი) ეკონომ-კლასის ორმხრივი ავია-ბილეთი ცენტრის 2016 წლის 14 ოქტომბრის კონცერტისთვის მოწვეული მუსიკოსი – ქეთევან ტიღაშვილისთვის. (CPV-60400000) (დაფინანსების წყარო – საკუთარი სახსრები)

1.2. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10 პრიმა მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის განკარგულება №98.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **1037.50 (ერთი ათას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარი.

3. მიღება - ჩაბარების წესი

3.1. „ავია-ბილეთის“ მიღება ფორმდება ბილეთების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

4.1. „შემსყიდველს“ საკუთრების უფლება „ავია-ბილეთებზე“ გადაეცემა არაუგვიანეს 2016 წლის 26 სექტემბრისა.

4.2. „შემსყიდველს“ მიეწოდება იმ რაოდენობის და ღირებულების „ავია-ბილეთი“, რომელიც მითითებულია ანგარიშ-ფაქტურაში.

5. ანგარიშსწორების ფორმა

5.1. „ავია-ბილეთის“ ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

5.3. „შემსყიდველი“ ურიცხავს „მიმწოდებელს" იმ რაოდენობის თანხას, რომელიც მითითებულია ანგარიშ-ფაქტურაში.

6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

6.1. „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

6.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

6.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

8.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

9. ხელშეკრულების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასიჯვა

10.1. „მიმწოდებლის" მიერ „ბილეთებზე" ფასების შეცვლის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. დავა

11.1 მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

11.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესი

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"

მის.: თბილისი. დ. აღმაშენებლის გამზ. №182
საიდენტ. კოდი 205065196
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 0808 7162

„მიმწოდებელი"

შპს „აირზენა ჰოლიდეი "

მის.: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №127
საიდენტ. კოდი 406027909
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი
კოდი: BAGAGE22
ა/ა GE85BG0000000260149400
ტელ.: 2505005

გენერალური მენეჯერი

.. ..

ნინო ნახუცრიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

.. ..

დიანა ლაზაშვილი